SYNTACTIC FEATURES OF MODERN ONLINE NEWS MEDIA IN THE GEORGIAN LANGUAGE

თანამედროვე საინფორმაციო ონლაინმედიის სინტაქსური თავისებურებები ქართულ ენაში

Natela Phartenadze
Doctor of Philological Sciences,
Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Rustaveli/Ninoshvili st., 32/35, 6010, Georgia,
+995 577 179 744, natia.phartenadze@bsu.edu.ge,
https://orcid.org/0000-0001-7919-8635

Abstract. Although media language has often been examined from a stylistic perspective, its syntactic organization in Georgian has received limited systematic analysis. This article examines the syntactic patterns characteristic of contemporary Georgian online news media and offers their functional and discursive interpretation. The study is based on authentic texts from Georgian online news platforms (InterPressNews, Agenda.ge, and Civil.ge) and employs descriptive, functional, and discourse-analytical methods. The analysis focuses on three key syntactic tendencies: sentence simplification with the dominance of parataxis, the use of elliptical and fragmentary constructions, and theme–rheme organization. The findings demonstrate that these syntactic models are motivated by the communicative goals of informative discourse, particularly the need for rapid, clear, and sequential information delivery. The study argues that the syntax of Georgian online media does not violate normative grammatical principles but rather represents a functional adaptation of the language to the demands of mass communication. The results contribute to contemporary research on Georgian syntax and to the functional understanding of media discourse.

Keywords: Georgian online news media; syntax of Georgian; parataxis; ellipsis and fragmentation; theme–rheme organization; media discourse.

ნათელა ფარტენაძე
ფილოლოგიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ბათუმი, რუსთაველი/ნინოშვილის ქუჩა 32/35, 6010, საქართველო,
+995 577 179 744, natia.phartenadze@bsu.edu.ge,
https://orcid.org/0000-0001-7919-8635

აბსტრაქტი. მიუხედავად იმისა, რომ მედიის ენა ხშირად სტილისტურადაა შესწავლილი, მისი სინტაქსური წყობა ქართულ ლინგვისტიკაში სისტემურად ნაკლებადაა აღწერილი. წინამდებარე სტატია ეძღვნება თანამედროვე ქართული ინფორმაციული ონლაინმედიის სინტაქსური მოდელების აღწერასა და ფუნქციურ ინტერპრეტაციას. კვლევა ეფუძნება ქართული ონლაინმედიის ავთენტურ ტექსტებს (InterPressNews, agenda.ge. Civil.ge) და გამოყენებულია აღწერითი, ფუნქციური და დისკურსული ანალიზი. ნაშრომში განხილულია სამი ძირითადი სინტაქსური პროცესი: წინადადების გამარტივება და პარატაქსული კონსტრუქციების დომინაცია, ელიფსური და ფრაგმენტული სტრუქტურების გამოყენება, აგრეთვე თემარემული ორგანიზების თავისებურებები.

ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული მოდელები განპირობებულია ინფორმაციული დისკურსის კომუნიკაციური მიზნებით - ინფორმაციის სწრაფი, მკაფიო და ეტაპობრივი მიწოდებით. დადგენილია, რომ ონლაინმედიის სინტაქსური პრაქტიკა არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ნორმატიულ სისტემას, პირიქით, ავლენს მის ფუნქციურ ადაპტაციას მასობრივი კომუნიკაციის პირობებში. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც ქართული სინტაქსის თანამედროვე კვლევებისთვის, ისე მედიის ენის ფუნქციური შეფასებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ონლაინმედია, ქართული ენის სინტაქსი, პარატაქსი, ელიფსი და ფრაგმენტაცია, თემარემული ორგანიზება, მედიადისკურსი.

შესავალი. თანამდროვე ქართულ ენაში ინფორმაციული მედია წარმოადგენს იმ დისკურსულ სივრცეს, სადაც ენობრივი პროცესები განსაკუთრებული ინტენსივობით და სისწრაფით ვითარდება. ახალი ამბების ტექსტები, საინფორმაციო სააგენტოების მასალები და ონლაინმედიის პროდუქცია არა მხოლოდ ასახავს ენის არსებულ ნორმებს, არამედ ხშირად ქმნის მათ ფუნქციურ ვარიაციებს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა სინტაქსურ დონეზე. ამ თვალსაზრისით ინფორმაციული მედიის ენა შეიძლება განიხილებოდეს როგორც თანამედროვე სინტაქსის ერთ-ერთი დინამიკური და ნიშანდობლივი გამოვლენა.

ინფორმაციული მედიის ძირითადი ფუნქცია - ფაქტის სწრაფი, ზუსტი და ნეიტრალური გადაცემა - განსაზღვრავს ტექსტის სტრუქტურულ ორგანიზებას. სწორედ ამ ფუნქციური მოთხოვნებიდან გამომდინარე ყალიბდება სინტაქსური მოდელები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ტრადიციული წერილობითი ნორმისგან, ასევე აკადემიური ტექსტების სინტაქსური პრაქტიკისგან. როგორც ცნობილია, მედიის ტექსტისთვის დამახასიათებელია წინადადების გამარტივება, ჰიპოტაქსის ნაცვლად პარატაქსული კონსტრუქციების დომინირება, ელიფსური და ფრაგმენტული კონსტრუქციების ფართო გამოყენება, ასევე უპიროვნო და იმპერსონალური სტრუქტურების სიხშირე.

ქართული ენის სინტაქსის კვლევევბში მედიის ენა უმეტესად განიხილება ლექსიკური ან სტილისტური თვალსაზრისით, მაშინ როდესაც მისი სინტაქსური წყობა შედარებით ნაკლებადაა სისტემურად აღწერილი. არსებული ნაშრომები, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ მოვლენებზე, როგორებიცაა: სათაურების ენა, უცხოენოვანი კალკები, ტერმინოლოგია და ა. შ., თუმცა ინფორმაციული მედიის სინტაქსური მოდელების კომპლექსური, ფუნქციური ანალიზი ჯერ კიდევ წარმოადგენს ინტერესის სფეროს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში სინტაქსი სულ უფრო მეტად განიხილება არა მხოლოდ ფორმალური სტრუქტურების ერთობლიობა, არამედ როგორც კომუნიკაციური ფუნქციით მოტივირებული სისტემა. ამ თვალსაზრისით, ინფორმაციული მედიის სინტაქსი საინტერესოა იმით, რომ იგი დგას ნორმისა და გამოყენების, სტაბილურობისა და ცვლილების საზღვარზე. მედიის ტექსტის თავისებურებები ხშირად აღიქმება როგორც

ნორმიდან გადახრა, თუმცა ფუნქციური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრი ასეთი მოვლენა წარმოადგენს არა დარღვევას, არამედ ენის შეთავსებას კომუნიკაციურ საჭირორბებთან.

წინამდებარე სტატიის მიზანია, თანამედროვე ქართულში ინფორმაციული მედიისთვის, კერძოდ კი, ონალინ მედიისთვის, დამახასიათებელი სინტაქსური მოდელების გამოვლენა, აღწერა და ფუნქციური ინტერპრეტაცია. კვლევა მიზნად ისახავს, დაადგინოს, წინადადების რა ტიპის სტრუქტურები დომინირებს ინფორმაციულ ტექსტებში, როგორია მათი სემანტიკურ-პრაგმატიკული დატვირთვა და როგორ მიემართება ეს მოდელები ქართული ენის ნორმატიულ სინტაქსს.

სტატია მიზნად ისახავს წვლილის შეტანას როგორც ქართული ენის სინტაქსის თანამედროვე კვლევევებში, ისე მედიის ენის მეცნიერულ გააზრებაში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროებში - ენის სწავლების, რედაქტირებისა და ნორმატიული შეფასების პროცესში.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება 2023-2025 წლებში გამოქვეყნებულ თანამედროვე ინფორმაციული მედიის ავთენტურ ტექსტებს (ონლაინფორტალები, საინფორმაციო სააგენტოები, ახალი ამბების სათაურები და ძირითადი ტექსტები) და ეყრდნობა აღწერით, ფუნქციურ და დისკურსულ ანალიზს. სინტაქსური მოდელები განიხილება კონტექსტში - ტექსტის ტიპის, კომუნიკაციური მიზნისა და ინფორმაციის ორგანიზების პრინციპების გათვალისწინებით.

შედეგი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე ქართული საინფორმაციო ონლაინმედიის ტექსტებში ჩამოყალიბებულია შედარებით სტაბილური სინტაქსური მოდელები, რომლებიც ემსახურება ინფორმაციის ოპერატიულ და მკაფიო გადაცემას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მარტივი და გაფართოებული წინადადებების დომინაცია, პარატაქსული კონსტრუქციების სიხშირე, აგრეთვე ელიფსური და ფრაგმენტული სტრუქტურების აქტიური გამოყენება.

გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ სინტაქსურ ერთეულებს გააჩნია კონკრეტული სემანტიკურ-პრაგმატიკული ფუნქცია: ისინი უზრუნველყოფს ინფორმაციის თემატურ-რემულ ორგანიზებას, მნიშვნელობათა იერარქიას და ტექსტის დინამიკურ სტრუქტურირებას. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ ონლაინმედიის სინტაქსური პრაქტიკა მთლიანობაში თავსებადია ქართული ენის ნორმატიულ სისტემასთან და წარმოადგენს მის ფუნქციურ ვარიაციას, რომელიც განპირობებულია მასობრივი კომუნიკაციის თავისებურებებით.

შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ თანამედროვე მედიის ენა არ წარმოადგენს ნორმიდან სისტემურ გადახრას, არამედ ასახავს ქართული ენის ადაპტაციის პროცესს ახალ საკომუნიკაციო სივრცეში. მიღებული მონაცემები ავსებს ქართული სინტაქსის თანამედროვე კვლევებს და ქმნის საფუძველს მედიის ენის მეცნიერული შესწავლის შემდგომი განვითარებისათვის.

მსჯელობა. ინფორმაციული მედიის ტექსტის ერთ-ერთ ძირითად სინტაქსურ თვისებურებას წარმოადგენს წინადადების სტრუქტურული გამარტივება. ეს ტენდენცია განპირობებულია მედიის მთავარი კომუნიკაციური მიზნებით. როგორებიცაა: ინფორმაციის სწრაფი გადაცემა, აღქმის გამარტივება და ტექსტის სკანირება. შედეგად, ინფორმაციულ ტექსტებში ხშირია მოკლე, ერთპირიანი ან მინიმალურად გავრცობილი წინადადებები, რომლებიც კონცენტრირებულია ფაქტზე და არა მის ინტერპრეტაციაზე.

ტრადიციული წერილობითი სინტაქსისთვის დამახასიათებელი რთული, ჰიპოტაქსური კონსტრუქციები ინფორმაციულ მედიაში ხშირად იცვლება მარტივი წინადადებებით ან რამდენიმე დამოუკიდებელ სინტაქსურ ერთეულად დაშლილი

სტრუქტურებით. ეს პროცესი არ უნდა შეფასდეს მხოლოდ როგორც სტილისტური გამარტივება; იგი წარმოადგენს **ფუნქციურად მოტივირებულ სინტაქსურ არჩევანს,** რომლიც შეესაბამება ინფორმაციის გადაცემის სპეციფიკას. მაგალითად, საინფორმაციო სააგენტოების ტექსტებში (InterPressNews, Civil.ge, *Agenda.ge...*) გვხვდება შემდეგი ტიპის კონსტრუქციები: „პარლამენტმა კანონპროექტი დაამტკიცა. კენჭისყრა ხმაურის ფონზე გაიმართა“ *(InterPressNews).* აქ ერთი რთული წინადადების შესაძლო სტრუქტურა (*კენჭისყრა ხმაურის ფონზე გაიმართა, როდესაც პარლამენტმა კანონპროექტი დაამტკიცა*) ჩანაცვლებულია ორი დამოუკიდებელი მარტივი წინადადებით, რაც ზრდის ინფორმაციის აღქმის სისწრაფეს და ტექსტის დინამიკას. ასევე: „მთავრობამ ახალი რეგულაციები წარადგინა. გადაწყვეტილება კრიტიკის ფონზე მიიღეს“ *(Civil.ge).* შესაძლო რთული სტრუქტურა: „როდესაც მთავრობამ ახალი რეგულაციები წარადგინა, გადაწყვეტილება კრიტიკის ფონზე მიიღეს“; „პროტესტი დღეს დილიდან განახლდა. მოქალაქეები პარლამენტთან შეიკრიბნენ“ *(Agenda.ge).* შესაძლო რთული წინადადება: „*როდესაც პროტესტი დღეს დილიდან განახლდა, მოქალაქეები პარლამენტთან შეიკრიბნენ“...*

წინადადებებს შორის მიზეზობრივი, დროითი ან პირობითი მიმართებები ხშირად არ ფორმულირდება გრამატიკული კავშირებით, ის გადაეცემა თანმიმდევრობით ან კონტექსტით. მაგალითად: „ავარია მოხდა დილით. დაშავდა სამი ადამიანი“ *(Agenda.ge).* ტექსტში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მკითხველისთვის ცხადია, თუმცა იგი არ არის სინტაქსურად ექსპლიციტირებული (*რადგან ავარია მოხდა, დაშავდა სამი ადამიანი*). ასეთი პარატაქსური სტრუქტურა ახასიათებს ინფორმაციულ დისკურსს, სადაც მნიშვნელობის კონსტრუირება ხშირად მკითხველზეა გადატანილი.

ინფორმაციულ მედიაში ფართოდ არის გავრცელებული რთული წინადადებების დაშლა რამდენიმე სინტაქსურ სეგმენტად. ეს პროცესი უკავშირდება ინფორმაციის ეტაპობრივ მიწოდებას და ტექსტის ლოგიკურ „დაქუცმაცებას“. მაგალითად, ონლაინპორტალების ახალი ამბების ტექსტებში ვკითხულობთ: „მოლაპარაკებები დასრულდა გვიან ღამით. შეთანხმება მიღწეულია. დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი“ *(InterPressNews).* აქ ფაქტობრივად გვაქვს ერთი კომპლექსური სიტუაცია, რომელიც ტრადიციულ სინტაქსში შეიძლება ერთ რთულ წინადადებად ჩამოყალიბებულიყო. ინფორმაციულ მედიაში კი ეს შინაარსი გადანაწილებულია რამდენიმე მოკლე, დამოუკიდებელ წინადადებად, რაც ქმნის ქრონოლოგიურ და ლოგიკურ სეგმენტაციას.

თანამედროვე ლინგვისტიკაში წინადადების სტრუქტურა განიხილება არა მხოლოდ გრამატიკული ნორმის, არამედ **კომუნიკაციური ფუნქციის** ჭრილში. ფუნქციური გრამატიკის მიხედვით, სინტაქსური ორგანიზაცია ემორჩილება ტექსტის მიზანსა და ადრესატის აღქმის მექანიზმებს (Halliday, 1985: 14-15). ამ თვალსაზრისით, ინფორმაციული მედიის ტექსტები წარმოადგენენ განსაკუთრებულ დისკურსულ სივრცეს, სადაც პრიორიტეტულია ინფორმაციის სწრაფი, მკაფიო და მინიმალურად დამუშავებული მიწოდება.

ჰალიდეი ხაზს უსვამს, რომ ტექსტის ფუნქცია განსაზღვრავს წინადადებების თანმიმდევრობასა და შიდა სტრუქტურას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ტექსტი მიმართულია მასობრივ აუდიტორიაზე (Halliday, 1985: 121-125). სწორედ ამ კონტექსტში იჩენს თავს წინადადების გამარტივება და პარატაქსის აქტიური გამოყენება, როგორც ტექსტის ფუნქციური ადაპტაციის შედეგი.

ტექსტისა და კონტექსტის ურთიერთმიმართებაზე ყურადღებას ამახვილებს ვან დაიკიც, რომლის მიხედვით, მედიური დისკურსი ეფუძნება მკითხველის კოგნიტიურ შესაძლებლობებსა და ინფორმაციის დამუშავების სიჩქარეს. მისი აზრით, ახალი ამბების ტექსტებში ინფორმაციის ორგანიზება უნდა იყოს სეგმენტირებული, ხაზოვანი და პროგრესული, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ინტერპრეტაციული დატვირთვა (Van Dijk,

1980: 67–75). ამგვარი მოთხოვნა პირდაპირ აისახება სინტაქსურ სტრუქტურაზე: რთული ჰიპოტაქსური წინადადებები ხშირად ჩანაცვლებულია დამოუკიდებელი მარტივი წინადადებებით, რომელთა შორის კავშირი დისკურსულად აღიქმება და არა ფორმალურად.

პარატაქსისისა და ჰიპოტაქსისის ურთიერთმიმართება კლასიკურად არის აღწერილი კვირკისა და მისი თანაავტორების ნაშრომში, სადაც პარატაქსი განისაზღვრება, როგორც თანაბარუფლებიანი წინადადებების თანმიმდევრობა, რომელიც ტექსტს ანიჭებს დინამიკურ და ფაქტობრივ ხასიათს (Quirk et al., 1985: 927-931). ავტორები აღნიშნავენ, რომ პარატაქსული სტრუქტურები განსაკუთრებით ეფექტურია ნარატიულ და ინფორმაციულ დისკურსში, სადაც მნიშვნელოვანია მოვლენათა სწრაფი მონაცვლეობა (Quirk et al., 1985: 136).

აღნიშნული თეორიული მიდგომები თანხვედრაში მოდის ქართული სინტაქსის ტრადიციულ აღწერასთან. ა. შანიძე ქართულ ენაში რთულ წინადადებას განიხილავს, როგორც ლოგიკური კავშირების მკაფიო გამომხატველ ფორმას, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია წერილობითი, აკადემიური და ოფიციალური სტილისთვის (შანიძე, 1973: 102-110). გ. კვანტალიანი კი აღნიშნავს, რომ რთული წინადადება განიხილება როგორც აზრის ლოგიკური მთლიანობის გამომხატველი ფორმა. მედიური ტექსტი კი ამ მთლიანობას ქმნის არა ერთ წინადადებაში, არამედ რამდენიმე დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულის ჯამით. შედეგად, ტექსტის ერთიანობა მიიღწევა არა გრამატიკული დაქვემდებარებით, არამედ დისკურსული თანმიმდევრობით. თანამედროვე ქართულში ფუნქციური სტილის მიხედვით შესაძლებელია ნორმატიული სინტაქსის მოდიფიკაცია, განსაკუთრებით პუბლიცისტურ და საინფორმაციო ტექსტებში, სადაც ლაკონიურობა და დინამიკა წამყვან ფაქტორებად იქცევა (კვანტალიანი, 2001:55-60).

თანამედროვე ნორმატიული ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ნორმისა და რეალური გამოყენების ურთიერთმიმართება. როგორც აღნიშნავს კოსერიო (Coseriu, 1980: 20), ენობრივი ნორმა არ არის სტატიკური სისტემა, არამედ ისტორიულად და ფუნქციურად ცვალებადი კატეგორია. ამ კონტექსტში ინფორმაციული მედიის სინტაქსი შეიძლება განიხილებოდეს როგორც **ფუნქციური ნორმის ვარიაცია**, რომელიც ყალიბდება მასობრივი კომუნიკაციის პირობებში.

ქართული მედიის სინტაქსური პრაქტიკა აჩვენებს, რომ წინადადების გამარტივება და მარტივი წინადადებების - პარატაქსის დომინაცია არ ეწინააღმდეგება ენის სისტემას, არამედ ავლენს მის ადაპტაციურ პოტენციალს. შესაბამისად, ამ მოვლენების შეფასება მხოლოდ ნორმიდან გადახრის ჭრილში არ არის გამართლებული და საჭიროებს ფუნქციურ-დისკურსულ ანალიზს.

ამდენად, ინფორმაციული მედიის სინტაქსური გამარტივება არ უნდა შეფასდეს როგორც ნორმის დარღვევა. იგი წარმოადგენს **ფუნქციურ გადახრას**, რომელიც განპირობებულია დისკურსის ტიპით, აუდიტორიის მოლოდინებითა და კომუნიკაციური ამოცანებით. მედია ტექსტის სინტაქსი ამგვარად იძენს დამოუკიდებელ სისტემურ ლოგიკას, რომელიც ერთდროულად ეფუძნება როგორც ზოგადლინგვისტურ, ისე ქართულ სინტაქსურ ტრადიციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ინფორმაციულ მედიაში ელიფსური კონსტრუქციები (ელიფსები) წარმოადგენს ერთ-ერთ გავრცელებულ სინტაქსურ მოვლენას. ელიფსი საშუალებას იძლევა, წინადადებიდან გამოტანილ იქნას არასაჭირო ელემენტები (ზმნები, ძირები, გარემოებები…) ისე, რომ ტექსტის ძირითადი ინფორმაცია უცვლელად დარჩეს (Halliday, 1985: 62).

მნიშვნელოვანი სწორედ **ფუნქციური ეფექტია**: ელიფსური სტრუქტურა ზრდის სათაურისა თუ მოკლე ტექსტების აღქმადობას და ქმნის დინამიკას. მაგალითად, Civil.ge-ს სათაურებში გვხვდება: „კენჭისყრა შეჩერდა. დაძაბულობა შენარჩუნებულია.“ ზმნა „იყო“

(„დაძაბულობა იყო შენარჩუნებული“) იჩრდილება ელიფსურად, მაგრამ ძირითადი ინფორმაცია იკითხება.

ელიფსური კონსტრუქციები ხშირად თანამდევია პარატაქსულ სტრუქტურებთან, რაც აძლიერებს ინფორმაციულ ეფექტს: „პრეზიდენტმა ვეტო დაადო. პარლამენტი პასუხს ამზადებს“ *(InterPressNews)…* ამ კონსტრუქციებში ელიფსი ხელს უწყობს **ინფორმაციის კონცენტრაციას** და **ტექსტის მოკლევადიანობას**.

ფრაგმენტული წინადადებები წარმოადგენს წინადადების სრულყოფილი სეგმენტის გამიჯვნას ტექსტის სხვადასხვა ნაწილში. მედია დისკურსისათვის ეს სტრუქტურები ხელს უწყობენ **თემატურ სეგმენტაციას** და **ინფორმაციის ეტაპობრივ მიწოდებას**. მაგალითად: „შეხვედრა დასრულდა. დეტალები ცნობილია. რეაქციას ელოდებიან“ *(Agenda.ge)…* ეს მაგალითი აჩვენებს, როგორ გამოიყენება ფრაგმენტული წინადადებები ინფორმაციის ხაზგასასმელად. ტექსტი ფუნქციურად ერთიანია, მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსურად დამოუკიდებელი ფრაგმენტებია.

ფუნქციური სინტაქსის მიხედვით, ელიფსი და ფრაგმენტაცია არა მხოლოდ ხელს უწყობს **ინფორმაციის სწრაფ აღქმას**, არამედ ქმნის ტექსტში **ინტერაქტიულ რიტმს**, რაც მნიშვნელოვანია მედიის თანამედროვე სტრუქტურაში (Van Dijk, 1980: 73).

ელიფსი და ფრაგმენტული წინადადებები ერთდროულად ასრულებენ რამდენიმე ფუნქციას. ესენია: 1. **ინფორმაციული კონცენტრაცია** — ტექსტი აღარ შეიცავს ზედმეტ ელემენტებს; 2. **ლოგიკური გამოყოფა** — მკითხველისთვის ცხადი ხდება მიზეზ-შედეგობრივი ან ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და 3. **დაკონკრეტებული კომუნიკაცია** — ტექსტი არ საჭიროებს ინტერპრეტაციის დამატებით პროცესს.

ინფორმაციის აღქმა დამოკიდებულია ახალი ინფორმაციისა და ძველი გამოცდილების შესაბამისობაზე. თუ ახალი ინფორმაცია აკმაყოფილებს უკვე აღქმული ინფორმაციით გამოწვეულ მოლოდინს, მაშინ ის მიიზიდავს ნაკლებ ყურადღებას, ვიდრე წარსულ გამოცდილებასთან შეუსაბამო ინფორმაცია (ფარტენაძე, 2022:312) . ინფორმაციული მედიის ტექსტებში წინადადების სტრუქტურა ხშირად მიზნად ისახავს ინფორმაციის **ლოკალიზაციას თემურ და რემულ დონეზე**. თემა წარმოადგენს **საწყის ინფორმაციას**, რაც მკითხველისთვის ცნობილია ან საწყის კონტექსტში წარმოდგენილია, ხოლო რემა — **ახალ ინფორმაციას**, რომელიც იძლევა ფაქტის კომუნიკაციურ ფუნქციას (Halliday, 1985: 124).

მედიის ტექსტებში თემარემული დაყოფა, თემისა და რემის გამიჯვნა მკაფიოდ გამოხატულია სათაურებსა და მოკლე საინფორმაციო ბლოკებში. მაგალითად: „მოსახლეობამ ქუჩაში გადაინაცვლა. პროტესტი გაგრძელდება“ *(Civil.ge).* ტექსტში „მოსახლეობა“ წარმოადგენს თემას — ცნობილ ელემენტს, ხოლო „პროტესტი გაგრძელდება“ — რემას, ანუ ახალ ინფორმაციას.

ამ ტიპის ტექსტში თემა ხშირად დომინირებს წინადადების დასაწყისში, რაც ზრდის **ინფორმაციის პროგნოზირებადობას** და მკითხველისთვის ადვილად აღქმას. ეს კარგად აისახება ინ-ტექსტურ სტრუქტურაში, სადაც ახალი ინფორმაცია მოთავსებულია წინადადების ბოლოს. მაგალითად: „პარლამენტმა ცვლილებები დაამტკიცა. ისინი შარშანდელ პროექტს ეხება“ *(InterPressNews).* აქ პირველი წინადადება განსაზღვრავს თემას („პარლამენტმა ცვლილებები დაამტკიცა“), ხოლო მეორე - დეტალურად ახსენებს რემას („შარშანდელ პროექტს ეხება“).

თემარემული ორგანიზება მედიის ტექსტებში ხშირად გამოიყენება **ინფორმაციის ქრონოლოგიური და მიზეზობრივი პრინციპებით**. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს მარტივ ვიზუალიზაციას და ინფორმაციის სწრაფ აღქმას (Van Dijk, 1980: 88). მაგალითად: „ავარია მოხდა დილით. სამი ადამიანი დაშავდა. მაშველები ადგილზე ჩადიან“ *(Agenda.ge).* ტექსტში პირველი წინადადება წარმოადგენს მოვლენას (თემა), მეორე აღწერს შედეგს (რემა), მესამე კი დამატებით ინფორმაციას მოვლენაზე რეაგირების შესახებ (რემა).

მედიის ტექსტების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია **დისკურსული სეგმენტაცია**. წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მხოლოდ გრამატიკული კავშირებით, არამედ **ინფორმაციული თანმიმდევრობით**, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს სწრაფად გააანალიზოს ძირითადი ფაქტები.

ფუნქციურად ეს ქმნის ტექსტის **ინტერაქტიულ რიტმს**, სადაც თემა და რემა ერთმანეთს ცვლის, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის სტრუქტურულად ოპტიმალურ წარმოჩენას. მაგალითად: „შეხვედრა დასრულდა. შეთანხმება მიღწეულია. დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი“ *(InterPressNews)*.

თემარემული ორგანიზაციის შესწავლა მედიის ტექსტებში ადასტურებს, რომ ინფორმაციული მედია ქმნის **ფუნქციურად მოტივირებულ სინტაქსურ წესრიგს**, რომელიც არ ეწინააღმდეგება ქართულ ნორმატიულ სინტაქსს, არამედ ეხმარება ტექსტს ეფექტურად გადმოსცეს ახალი ინფორმაცია (Coseriu, 1980: 35).

დასკვნა. ამრიგად, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა სამი ძირითადი პროცესის დისკურსულ-სინტაქსური მნიშვნელობა:

1. **წინადადების გამარტივება და პარატაქსისის დომინაცია** — ინფორმაციული მედიის ტექსტებში ჰიპოტაქსური კონსტრუქციების შემცირება მოკლე, დამოუკიდებელ წინადადებებზე იძლევა ინფორმაციის სწრაფ აღქმას, ტექსტის დინამიკას და მკითხველისთვის კოგნიტიურად მარტივ ფორმას. მაგალითები InterPressNews-ის, Agenda.ge-ისა და Civil.ge-ის ტექსტებიდან ადასტურებს, რომ პარატაქსული სტრუქტურები ფუნქციურად უზრუნველყოფენ მიზეზ-შედეგობრივი, ქრონოლოგიური და თემარემულ ურთიერთქმედების ეფექტს.

2. **ელიფსური და ფრაგმენტული კონსტრუქციები** — ელიფსი და ფრაგმენტაცია ინფორმაციულ ტექსტებში ახდენს ტექსტის ეკონომიურ ფორმირებას და მკითხველისთვის ინფორმაციის მომენტალურ აღქმას. ელიფსური ფორმები (მაგალითად, „დაძაბულობა შენარჩუნებულია“ და ა. შ.) უზრუნველყოფს ახალ ინფორმაციულ ელემენტებზე კონცენტრაციას, ხოლო ფრაგმენტული წინადადებები („შეხვედრა დასრულდა. შეთანხმება მიღწეულია“...) ქმნიან ტექსტში დისკურსულ სეგმენტაციას, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის ეტაპობრივ გადაცემას.

3. **თემარემული ორგანიზაცია** — მედიის ტექსტებში თემა და რემა ერთობლივად უზრუნველყოფს ინფორმაციის ლოგიკურ და სტრუქტურულ განაწილებას. თემა წარმოადგენს საწყის ცნობილ ელემენტს, ხოლო რემა — ახალ ინფორმაციას, რაც ზრდის ტექსტის აღქმას და მკითხველის ადაპტაციას ინფორმაციულ დისკურსში. მაგალითები Civil.ge-სა და InterPressNews-ის ტექსტებიდან დასტურდება, რომ თემარემული დისტინქცია აუცილებელია ინფორმაციული დისკურსის ეფექტური ორგანიზებისთვის.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ **ინფორმაციული მედიის სინტაქსი წარმოადგენს ფუნქციურად მოტივირებულ სისტემას**, რომელიც ენის ნორმატიულ წესრიგს არ არღვევს, არამედ მას ადაპტაციას უკეთებს მასობრივი კომუნიკაციის მოთხოვნებთან. წინადადების გამარტივება, პარატაქსი, ელიფსი, ფრაგმენტაცია და თემარემული ორგანიზება ერთობლივად ქმნიან მედიის ტექსტში ენის **ფუნქციურად ოპტიმალურ გამოყენებას**, რაც განპირობებულია ინფორმაციის სწრაფი, მკაფიო და ეფექტური მიწოდებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატია ეყრდნობა მხოლოდ **ონლაინმედიის ტექსტებს ქართულ ენაში**, ამიტომ მის დასკვნებს შეიძლება არ ჰქონდეს სრული გავრცელებადობა სატელევიზიო ან რადიო დისკურსში. ასევე, კვლევა არ განიხილავს კომპიუტერული ან ტექსტური ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით სარეპრეზენტაციო მონაცემებს, რაც შემდგომი კვლევისთვის დავიტოვეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

კვანტალიანი, გ. (2001). *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი.* თბილისი.

ფარტენაძე, ნ. (2022). კომუნიკაციის ეფექტიანობა სატელევიზიო დისკურსში. *VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენცია „ენა და კულტურა“ შრომები.* ქუთაისი.

შანიძე, ა. (1973). *ქართული ენის გრამატიკა: სინტაქსი.* თბილისი.

Agenda.ge. (2025). *სიახლეები.* https://agenda.ge

InterPressNews. (2025). *ახალი ამბები.* https://www.interpressnews.ge

Civil.ge. (2025). *საინფორმაციო სათაური.* https://civil.ge

Coseriu, E. (1980). *Lessons in General Linguistics*. Bloomington: Indiana University Press.

Halliday, M. A. K. (1985). *An introduction to functional grammar*. London: Edward Arnold.

Van Dijk, T. A. (1980). *Text and context: Explorations in the semantics and pragmatics of discourse*. London: Longman.

Quirk, R., Greenbaum, S., Leech, G., & Svartvik, J. (1985). *A comprehensive grammar of the English language*. London: Longman.

REFERENCES

k'vant'aliani, g. (2001). *tanamedrove kartuli enis sint'aksi [Syntax of the Modern Georgian Language]*. Tbilisi.

part'enadze, n. (2022). k'omunik'atsiis epekt'ianoba sat'elevizio disk'ursshi [Effectiveness of Communication in Television Discourse]. *VII saertashoriso sametsniero (dist'antsiuri) k'onperentsia „ena da k'ult'ura“ shromebi [Proceedings of the VII International Scientific (Distance) Conference “Language and Culture]*. Kutaisi.

shanidze, a. (1973). *kartuli enis gramat'ik'a: sint'aksi [Grammar of the Georgian Language: Syntax]*. Tbilisi.

Agenda.ge. (2025). *siakhleebi [News]*. https://agenda.ge

InterPressNews. (2025). *akhali ambebi [New]*. https://www.interpressnews.ge

Civil.ge. (2025). *sainpormatsio satauri [News headline]*. https://civil.ge

Coseriu, E. (1980). *Lessons in General Linguistics*. Bloomington: Indiana University Press.

Halliday, M. A. K. (1985). *An introduction to functional grammar*. London: Edward Arnold.

Van Dijk, T. A. (1980). *Text and context: Explorations in the semantics and pragmatics of discourse*. London: Longman.

Quirk, R., Greenbaum, S., Leech, G., & Svartvik, J. (1985). *A comprehensive grammar of the English language*. London: Longman.